

საქართველოს კანონი

„საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი №11-12, 14.03.1998წ. გვ. 5) 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის, როგორც საგამოძიებო ორგანოს, საქმიანობისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი – გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი